ქართული
კალათბურთი

# დებულება

## საქართველოს თასი 2023



სეზონი 2022-2023

GBF.GE

# საქართველოს თასი

## მუხლი 1. საქართველოს თასის ჩატარების უფლება

- საქართველოს თასის ჩატარების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია (შემდგომში “ს.კ.ე.ფ”).

## მუხლი 2. საქართველოს თასის ჩატარების წესები

- საქართველოს თასი ტარდება „კალათბურთის ოფიციალური წესების” და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

## მუხლი 3. საქართველოს თასის ჩატარების ვადები

თასის გათამაშება დაიწყება 2023 წლის 14 იანვარს და დასრულდება არაუგვიანეს 2023 წლის 1 მაისისა.

## მუხლი 4. მონაწილე გუნდები და ჩატარების სისტემა

4.1 საქართველოს თასის გათამაშებაში მონაწილეობს სუპერლიგის 11 და ა-ლიგის 5 გუნდი.

1. ქუთაისი
2. თსუ
3. ვერა
4. ოლიმპი
5. ბათუმი
6. რუსთავი
7. მეგა
8. დელტა
9. ტიტები
10. კაკტუსი
11. კავკასია
12. დინამო
13. ასტრალი
14. ივერიონი
15. ტყიბული
16. გთუნი

4.2 საქართველოს თასის გათამაშდება ტარდება პლეი ოფის სისტემით. გუნდები დაწყვილდებიან კენჭისყრაზე (დანართი #1); სუპერლიგის გუნდები 2022-2023 წლების სეზონის პირველი წრის შედეგების მიხედვით, ხოლო ა-ლიგის გუნდები კენჭისყრაზე კალათაში განითესებიან 2021-2022 წწ. სეზონისწინა რეიტინგის მიხედვით (1-5 ადგილებზე მყოფი გუნდები)
4.3 **1/8 - 1/4 სერიები** ჩატარდება ფლეიოფის სისტემით, **(2 მატჩის ჯამში)** გაარკვევენ მოგებულს.
4.3.1 **1/2 ნახევარფინალური მატჩები** და ფინალი ჩატარდება **ერთ (1) მოგებამდე.**
4.3.2 **1/8-1/4** წყვილებში მოედნის უპირატესობა ენიჭება იმ გუნდს, რომელიც იმყოფება კლასიფიკაციაში მაღალ ადგილზე.
***შენიშვნა:*** *ნახევარფინალებში და ფინალში მოედნის უპირატესობის პრინციპი არ იმოქმედებს და თამაშების ჩატარების ადგილი და დრო დადგინდება 2023 წლის თებერვალში.*

## მუხლი 5. ჩატარების პირობები

5.1 თამაშები ჩატარდება თასის გათამაშების, სუპერლიგის და ა-ლიგის მიმდინარე სეზონის დებულებების მიხედვით და 2022-2023 წწ. საკალათბურთო სეზონის შესაბამისი რეგულაციის დაცვით.

## მუხლი 6. დისციპლინარული დარღვევები

6.1 საქართველოს თასის გათამაშებაში მიღებულ დისციპლინარულ დარღვევებს არეგულირებს სუპერლიგის და ა-ლიგის 2022-2023 წლების სეზონის დებულებები.

## მუხლი 7. ფინანსები

7.1 საქართველოს კალათბურთის ფედერაცია გაიღებს შემდეგ ხარჯებს:
- სპორტული ბაზის იჯარას (თბილისში გამართული მატჩები);
- მსაჯთა ჯგუფის მიერ თამაშების მომსახურებას;
- ტურნირისთვის საჭირო სარეკლამო ატრიბუტიკის დამზადებას;
- თასის გათამაშების მონაწილე მწვრთნელებისა და მოთამაშეების, მატჩების დროს გამართული სხვადასხვა საშეჯიბრო კონკურსის მონაწილეების დაჯილდოვებისა და მაყურებელთათვის სხვადასხვა სამახსოვრო სუვენირების (თასი, სიგელი, მედალი) დამზადების ხარჯებს.

## მუხლი 8. პროტესტის შეტანის წესი

8.1 პროტესტი ს.კ.ე.ფ-ში შედის წერილობითი ფორმით და „კალათბურთის ოფიციალურ წესებში” ჩამოყალიბებული პროცედურების დაცვით.
8.2 პროტესტის შემტანი გუნდი იხდის წინასწარ თანხას **500 (ხუთასი) ლარის** ოდენობით. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება უკან .
8.3 გუნდის პროტესტის განხილვის პირველ ინსტანციას წარმოადგენს ს.კ.ე.ფ-ის სააპელაციო კომისია.
8.4 თუ გუნდი არ ეთანხმება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, პროტესტს განიხილავს ს.კ.ე.ფ-ის გამგეობა. ამ შემთხვევაში წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა იზრდება **700 (შვიდასი) ლარამდე**.
პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება გუნდს.

## მუხლი 9. დაჯილდოება

- საქართველოს 2023 წლის თასის გამარჯვებული დაჯილდოვდება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გარდამავალი თასით.
- საქართველოს 2023 წლის თასის საუკეთესო მოთამაშე დაჯილდოვდება სამახსოვრო პრიზით.
- საქართველოს თასის საპრიზო ფონდი შეადგენს 60000 (სამოცი ათასი) ლარს, რომელიც განაწილდება ფინალში გასულ ორ გუნდზე შემდეგი პროპორციით:
- 1-ლი ადგილი 40000 (ორმოცი ათასი); მე-2 ადგილი 20000 (ოცი ათასი).